ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

1920 — 1978

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 28 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 1978 Წ. □ № 50 (17094) □ ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

„ᲡᲐᲚᲞᲣᲢ-6“ - „ᲡᲝᲘᲣᲖ-27“

ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 26 თებერვალი. (საკდესი). „სალუტ-6“-„სოიუზ-27“ კომპლექსის ეკიპაჟი განაგრძობს დაგეგმილი გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების შესრულებას.

ფრენის პროგრამის შესაბამისად იური რომანენკომ და გიორგი გრეჩკომ მსტ-13 ტელესკოპის საშუალებით განახორციელეს ულტრაიისფერი დიაპაზონით ტალღების სიგრძის პირველი გაზომვები, რომლებიც გაუცივებელი მიმღებით შესრულდა. კაშკაშა ციური წყაროების ულტრაიისფერი გამოსხივების კვლევა, როცა ისინი დედამიწის ჰორიზონტს მოეფარებიან, საშუალებას იძლევა მივიღოთ ვონაცემები დედამიწის ატმოსფეროს ოზონის ფენის მდგომარეობის შესახებ.

ტელესკოპი მუშაობს დედამიწის დედამიწიერ ტელესკოპისა და მისი ორბიტული ვიზირის იუსტირების მეთოდიკას ხახწორე „სალუტ-6“ სადგურის ასტროორიენტაციის სისტემის მიმართ.

გუშინ კოსმოსური კომპლექსის ეკიპაჟმა შეასრულა ცდების კიდევ ერთი ციკლი ექსპერიმენტ „რეზონანსის“ პროგრამის მიხედვით. ეს ექსპერიმენტი ხორციელდება „სალუტ-6“-„სოიუზ-27“ ორბიტული სისტემის დინამიკური მახასიათებლებისა და მის კონსტრუქციაზე მოქმედ დატვირთვათა სიდიდეების განსაზღვრის მიზნით.

ეკიპაჟის მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, კოსმოსური კომპლექსის საბორტო სისტემები, ნორმალურად მუშაობს. ამხანაგები რომანენკო და გრეჩკო თავს კარგად გრძნობენ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ

ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ისე არ ამშვენებს და ალამაზებს ადამიანს, როგორც აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია. და თუ ეს გამონათქვამი საერთოდ ჩვენს მშრომელებს, ყველა საბჭოთა ადამიანს ეხება, მით უფრო კომუნისტისათვის ასეთი პოზიცია მარტო მოვალეობა კი არა, ყოველდღიური მოთხოვნილებაც არის.

წინსულისადმი დაუოკებელი სწრაფვა, მებრძოლურობა სწორედ კომუნისტის ხასიათის ნიშნებია. იგი ყველაფრისთვის აგებს პასუხს — იმაზე, თუ როგორ შრომობს, ცხოვრობს და მოქმედებს თვითონ, და იმაზეც, თუ როგორ საქმიანობენ და იქცევიან სხვები, სად, როგორ იყენებენ წარმოების რეზერვებს, როგორ ხარჯავენ ნედლეულსა და მასალებს, რამდენ და როგორ პროდუქციას უშვებენ... კომუნისტი იმისთვისაც აგებს პასუხს, თუ როგორ მსჯელობენ ადამიანები, როგორ ესმით მათ ჩვენი პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა.

ჩვენი პარტიის რიგითი ჯარისკაცის როლი, მოვალეობა და პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით ეს მოთხოვნა, რომ იგი მუდამ აქტიური იყოს, კიდევ უფრო იზრდება დღეს, ჩვენს დროში, როცა სკკ XXV ყრილობის მიერ დასახულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პროგრესის ახალი მორიზონტები.

კომუნისტის ინიციატივა და აქტიურობა კი მრავალნაირი ფორმით ვლინდება. ერთ-ერთი ფორმა ის არის, რომ მან მუდამ დაუფარავად და გულწრფელად, ობიექტურად და პრინციპულად თქვას თავისი სათქმელი, თვალი არ მოხუჭოს ნაკლსა და ხიბინჯზე, პარტიული სიდინჯით გამოთქვას პრაქტიკული საქმის ფრთაშესხმისათვის საჭირო თავისი ნათელი აზრი.

ვინ აღწერს იმ ასეულ ათასობით, მილიონობით გამოთქმულ სულ აზრს, პრაქტიკულ წინადადებას, რომლებიც დიდმნიშვნელოვან საქმეთა დასაწყისად იქცა და ხელი შეუწყო ჩვენი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. კომუნისტების აქტიურობის, მათი ცოცხალი და საინტერესო აზრის განხორციელების დადებითი ძვრები და შედეგები თვალნათლივ ჩანს თითქმის ყოველ ნაბიჯზე, თითქმის ყველა შრომითსა და შემოქმედებითს კოლექტივში.

ეს აქტიურობა, საკუთარი აზრის გამოთქმის სურვილი ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებით გაიზარდა ამ უკანასკნელ წლებში, როცა საქართველოს კომპარტიამ ფართო ფრონტით გაშალა შეტევა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია ამ ცოტა ხნის წინათ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრებული საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, აგრეთვე მისი მომდევნო კრებები, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები, სხვა პარტიული ღონისძიებანი. საკმარისია დავასახელოთ ასეთი ციფრი: საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე სიტყვა წარმოთქვა იქ დამსწრე კომუნისტთა 87,2 პროცენტმა.

როცა ამ და კომუნისტთა აქტიურობის გამომხატველ სხვა ციფრებს, სხვა მაჩვენებლებს ვუკვირდებით და ვაანალიზებთ, ცხადზე უცხადესი ხდება, რომ „აზრი ყველაზე მეტი ხალისით გამოთქმება ამ პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც სულ უფრო მეტ მზრუნველობას იჩენენ ყოველი გამოთქმული წინადადებისადმი, კრიტიკული შენიშვნისადმი.

ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევა სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია. აქ როგორც საანგარიშო-საარჩევნო, ისე მას შემდეგ გამართულ კრებებზე კომუნისტებმა წარმოების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ბევრი საყურადღებო წინადადება გამოთქვეს, რომლებიც შეეხებოდა ფაბრიკის ტერატორიის მოწესრიგებას, მომარაგების დარგის კადრებით განმტკიცებას, შრომის დისციპლინის გაუმჯობესებას, პარტიული დავალებების სწორად განაწილებას და სხვა საკითხებს. პარტბიუროს (მდივანი ვ. ვაშაკიძე) და დირექციის (დირექტორი ი. პაპასკირი) დროული, შეთანხმებული მოქმედებით ყველა ეს მოთხოვნა უკვე პრაქტიკულად განხორციელდა. აქ დაამკვიდრეს პრაქტიკა, რომ ყოველი პარტიული კრების წინ კომუნისტებს მიაწოდონ ზუსტი ინფორმაცია როგორც მათ მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელების, ისე კრებებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ერთ დროს მეტად უინიციატივოდ მუშაობდა წითელწყაროს რაიონის ოზაანის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია. ამას განაპირობებდა კომუნისტთა დიდი ნაწილის პასიურობა. როცა აქაურ კომუნისტებს ეკითხებოდნენ, თუ რა იყო მათი პასიურობის მიზეზი, რატომ არ გამოთქვამდნენ მდგომარეობის გამოსწორებისათვის კონკრეტულ წინადადებებს, ისინი ამბობდნენ: განა სულ ერთი არ არის, ვიტყვი თუ არ ვიტყვი, რა ფასი აქვს ჩვენს ნათქვამს?! მაგრამ აი ამ უკანასკნელ ორ წელიწადში როგორც კოლმეურნეობაში, ისე პარტიულ ორგანიზაციაში კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებებისადმი კარგი, მზრუნველი დამოკიდებულება შეიქმნა, ბევრი მათგანის პრაქტიკულმა განხორციელებამ საქმეს სასიკეთო პირი დაატყო. აქაური კომუნისტები ახლა ხალისით გამოთქვამენ აზრს. ამას წინათ, როცა ისინი თავიანთ კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის შედეგებს განიხილავდნენ, სხვა აქტუალურ პრობლემებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხებს. მათ შეუწყნარებლად ჩათვალეს ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობის ვენახები ერთმანეთისაგან 50-60 კილომეტრით დაშორებულ ხუთ ადგილზეა გაშენებული და ამის გამო იქსაჭესება ტექნიკა, მუშახელი, რთულდება აღირცხვა და კონტროლი.

რა თქმა უნდა, ყველა სასარგებლო წინადადების განხორციელება არც ერთი ხელის დაკვრით შეიძლება და არც პირველადს პარტიულ ორგანიზაციას, ადგილობრივი შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელს, ძალუძს გადაწყვიტოს ყოველივე. ამიტომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების უპირველესი საზრუნავი სწორედ ის არის, რომ დროზე და პრაქტიკულად დაეხმარონ მათ, მიაღწიონ იმას, რომ კომუნისტთა არც ერთმა შენიშვნამ, სურვილმა, წინადადებამ უკვალოდ არ ჩაიაროს.

საამისოდ კარგი პრაქტიკა დამკვიდრდა ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში განსაკუთრებით საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს. პარტიის თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის საქალაქო კომიტეტებში, ზოგიერთ რაიკომში შეიქმნა სპეციალური ოპერატიული ჯგუფები, რომლებიც ყოველდღიურად აკვირდებოდნენ და ანალიზებდნენ კრებების მიმდინარეობას, აღრიცხავდნენ კომუნისტთა კრიტიკულ შენიშვნებსა და საქმიან წინადადებებს და ოპერატიულად რეაგირებდნენ.

კომუნისტთა აზრის განხორციელებისათვის სხვა მრავალ ფორმასთან ერთად პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა გამოიყენა კრებების ჩატარებისთანავე ოპერატიული თათბირების მოწყობის პრაქტიკა, სადაც საქალაქო კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად, კრებებს რომ ეხსრებოდნენ. იწვევდნენ პარტორგანიზაციათა მდივნებს, ავრეთვე უშუალოდ იმ უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომელთა ჩარევაც საჭირო იყო საქმისათვის.

გაიზარდა ჩვენი რესპუბლიკური ორგანიზაციების, სამინისტროების, უწყებების პასუხისმგებლობა კომუნისტთა ჯანსაღი აზრის მხარდაჭერისათვის. ამას დადად შეუწყო ხელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ღონისძიებებმა. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო ცენტრალური კომიტეტის საინფორმაციო სეკტორის საშუალებით კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შერჩევა და აღრიცხვა და სათანადო ორგანიზაციებისათვის მათი დროული გადაგზავნა. ასეთმა კონტროლმა რესპუბლიკაში არაერთ კეთილ საქმეს დაუდო სათავე, არაერთი საკითხი გადაწყდა, გასაკეთებელი გაკეთდა.

ჩვენს რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციაში დემოკრატიული საწყისების განვითარების შესანიშნავი მაგალითია ის ფაქტი, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ყველა კომუნისტის წინაშე უშუალოდ წარდგა მოხსენებით „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თათბაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

მაგრამ, როგორც საანგარიშო-საარჩევნო კრებების, ისე პარტიულ ორგანიზაციათა შემდგომი საქმიანობის ანალიზმა ისიც გამოაშკარავა, რომ კომუნისტთა აქტიურობისათვის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში, ზოგიერთ პირველადს ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ. აქაც კვლავ და კვლავ ერთ-ერთი მთავარი შიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ გულგრილობითა და უყურადღებობით ბევრი ჯანსაღი აზრი კრების დარბაზიდან გარეთ აღარ გამოდის, ან მარტო ოქმის კუთვნილება ხდება ხოლმე. ზოგჯერ კი ზემდგომი ორგანოების წარმომადგენელნი, რომელთა კომპეტენციაშიც შედის საქმის მოგვარება, საოცარ გულგრილობას იჩენენ.

სწორედ ამიტომ ჯერაც განუხორციელებელია ახალციხის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კომუნისტთა კრიტიკული წინადადება გაკის ქარხნის რეკონსტრუქციის თაობაზე, რომლისთვისაც სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დიდი ხანია შედგენილია. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროდანაც ჯერჯერობით პასუხი არ ჩანს.

ასევე დიდხანს უცდიან პასუხს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან კურორტ აბასთუმნის სანატორიუმის კომუნისტებიც ავარიული საცხოვრებელი სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საქმეში სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. პლენუმის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებში ჩაქსოვილია რესპუბლიკის კომუნისტების, სპეციალისტებისა და პრაქტიკოსების კოლექტიური აზრი, რომელიც პლენუმისათვის მზადების მთელ პერიოდში გამოითქვა. ცხადია, ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე საქმიანი სჯა-ბაასი გაგრძელდება ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში პლენუმის შედეგების განხილვის დროსაც.

კომუნისტთა ფართო მასების აზრის ზედაპირეული გათვალისწინება — აი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის სტილი, რომელიც რესპუბლიკის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში უნდა გავრცელდეს და დამკვიდრდეს.

ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲝᲑᲐ

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘ“ — ასე ეწოდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის დ. ა. კუნაევის წიგნს, რომელიც პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა. წიგნში გაშუქებულია მომძე რესპუბლიკების თანამეგობრობაში საბჭოთა ყაზახეთის ადგილი და როლი. ავტორი აღწერს ყაზახი ხალხის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის გმირულ გზას, რომელიც ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განვლეს.

(საკდესი).

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲝᲠᲘᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲗ

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲝᲑᲐ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ — ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲐᲜᲖᲔ!

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ



1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა შორის ცნეს ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნის კოლექტივიც.

ქარხნის ბევრმა წარმოების მუშაკმა წარმატებით დაამთავრა საიუბილეო წლის დავალებანი და ახლა გრაფიკის გასწრებით მუშაობს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ: მარცხნივ — მოწინავე კბილმჭელი, კომუნისტი მანგურ სვანიშვილი; ქვემოთ — მანგურ სვანიშვილი (მეორე მარცხნიდან) და შასის საამქროს მოწინავე წარმოების მუშაკები — გიორგი ჩუბინიძე, ვლადიმერ დეკანოია და ბიძინა მამარდაშვილი, რომლებიც 1979 წლის ანგარიშში მუშაობენ.

Ო. ბერეზიკიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲕᲐᲜ�გᲐᲠᲓᲨᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲨᲐᲑᲐ ᲠᲝᲑᲐᲨᲘ

ᲓᲐᲖᲝᲒᲘᲚᲘ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲗ

ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘ. თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ ახალქალაქის ფილიალის მუშა-მოსამსახურეებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის „წერილის პასუხად ვალდებულება იკისრეს - 28 დეკემბრისათვის გაანაღდონ პროდუქციის, გამოშვების წლიური დავალება, ხოლო წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 5 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, რაციონალურად გამოიყენონ ნედლეული, დაზოგონ ელექტროენერგია და 03 პროცენტით შეამცირონ გამომშვებული პროდუქციის თვითღირებულება, ვამოუშვან მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია.

ახალციხელ მეფეხსაცმელეთა ახალი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია მოსკოვის მოწინავე საწარმოთა პატრიოტულმა თაოსნობამ — ვ. ი. ლენინის 108-ე წლისთავის აღსანიშნავად 22 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა. აქ ადგენენ მოქმედების კონკრეტულ გეგმებს. ბევრმა მუშამ გადაწყვიტა, რომ ამ დღეს დაზოგილი ნედლეულით ინუშონ.

Გ. ᲝᲣᲚᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ მუშკორი.

ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲛᲝᲥᲛᲔᲛᲖᲐᲓᲚᲝᲗ

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲐᲮᲚᲝᲕᲔᲓᲔᲑᲐ საგაზაფხულო თესვა — მოსავლისათვის ბრძოლის პასუხსაგები ეტაპი. სოფლის მშრომელები ერთსულოვნად ემზადებიან მინდვრის სამუშაოებისათვის. ხუთწლედის მესამე წლისათვის მათ იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, რომელთა რეალიზაცია ახალი დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება იმ პროგრამის შესრულების გზაზე, რომელიც დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ **11-12 მარტს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებებსა და გაერთიანებებში მოუწყოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რესპუბლიკური დათვალიერება.** დათვალიერების მიზანია უზრუნველყოს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის ყოველმხრივ მომზადება, უფრო ფართოდ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკის მექანიზატორთა შორის მუშაობის მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის.

დათვალიერების დროს შემოწმდება მეურნეობათა მანქანა-ტრაქტორების პარკის, ტექნიკის მდგომარეობა, ტრაქტორების, კიდული და ნიადაგდამუშავებელი აგრეგატების რემონტის მიმდინარეობა და ხარისხი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მექანიზატორთა კადრებს, მათ კვალიფიკაციასა და ცოდნის დონეს.

ეს მნიშვნელოვანი საერთო რესპუბლიკური ღონისძიება საშუალებას მოგვცემს უფრო სწრაფად და უკეთესად მოვემზადოთ 1978 წლის გაზაფხულისათვის, მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მომავალ მოსავალს. (საქინფორმი).

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲑᲣᲚᲐᲙᲔᲨᲢᲡ ᲒᲐᲔᲛᲖᲐᲕᲠᲐ

26 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ მოსკოვიდან ბუდაპეშტს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნების მორიგ თათბირში.

დელეგაციაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია იმავე დღეს ჩავიდა ბუდაპეშტში.

აეროდრომზე დელეგაციას დახვდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ოკარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. დენეში და ი. დიერი. დამხვდურთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. პავლოვი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲔᲑᲘ

□ **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.** ყარშის პედაგოგიური ინსტიტუტის უნივერსალური აგრონომიკური ჰელიოპავილიონი მთელი წლის მანძილზე მზის ენერგიით მუშაობს. მისი აშენება ძნელი არ არის კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის ძალებით. ჰელიოპავილიონი შეიქმნა უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მეცნიერთა დახმარებით.

□ **ᲐᲒᲓᲐᲛᲘ. (ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ).** პირველი მყიდველები მიიღო ამ რაიონულ ცენტრში გახსნილმა სამსართულიანმა უნივერსალურმა მაღაზიამ. ეს არის ყარაბახის ველის ყველაზე დიდი სასოფლო სავაჭრო დაწესებულება.

ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲫᲚᲔᲕᲐᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1978 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე განაღდებისათვის, ვადამდე, 27 თებერვალს, შეასრულეს რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სარეწველო პროდუქციის წარმოების მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქალაქ თბილისის — „საქნავთობის“ „საქსამთოქმმრეწვის“, „ელექტროაპარატის“, „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებების, ფოლად-თუჯსამსხმელო, „ელექტროიზოლიტის“, ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნების, ფაბრიკა „ნადიკვრის“, კონიაკის კომბინატის, საშენ მასალათა კომბინატის; ქალაქ ქუთაისის „გელათისა“ და „საქქვანახშირის“ საწარმოო გაერთიანებების, საავტომობილო, ტექნიკური რეზინის ნაწარმის, ქვისდამამუშავებელი ქარხნების; **ქალაქ რუსთაკის** — მეტალურგიული ქარხნის; **ქალაქ სოხუმის** — „სოხუმხელსაწყოს“ ქარხნის, ტყავფეხსაცმლის კომბინატის, სამკერვალო ფაბრიკის; **ქალაქ ბათუმის** — საწარმოო სამკერვალო გაერთიანების, ბანქანათასაშენებელი ქარხნის, ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის; **ქალაქ ფოთის** — „ელექტროაპარატის“ ქარხნის; **ქალაქ ზუგდიდის** — ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის; **ქალაქ ჭიათურის** — სამთამადნო კომბინატის; **ქალაქ წყალტუბოს** — ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების; **ქალაქ ხაშურის** — საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის კოლექტივებმა.

* * *

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობის მუშაკებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1978 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის განაღდებისათვის, ვადამდე, 27 თებერვალს შეასრულეს რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სარეწველო პროდუქციის წარმოების მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საწარმოო გაერთიანებებმა: „ელექტროაპარატის“, „საქელექტრომანქანის“, „თბილისელვინოს“; ფოლად-თუჯსამსხმელო, „ელექტროიზოლიტის“, ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნების; ფაბრიკა „ნადიკვრის“, კონიაკის კომბინატის, საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივებმა. (საქინფორმი).

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲡ 60 ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲐᲗ

60 ᲬᲔᲚᲘ შეუსრულდათ საბჭოთა სახელმწიფოს კონტროლის ორგანოებს. სახალხო კონტროლის ორგანოებს, რომლებიც პარტიასა და მთავრობას აქტიურად ეხმარებიან იმ საქმეში, რომ უფრო ფართოდ ჩაებან ხალხთა მასები სახელმწიფოს საქმეთა მართვაში, უზრუნველყონ, რომ საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციები სისტემატურად ასრულებდნენ პარტიისა და მთავრობის დირექტივებს, განამტკიცებდნენ სახელმწიფო დისციპლინასა და სოციალისტურ კანონიერებას, — მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებაში.

საბჭოთა სახელმწიფოს კონტროლის ორგანოების 60 წლისთავს მიეძღვნა სახალხო კონტროლის მუშაკებისა და აქტივისტებისა და ქალაქ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც 27 თებერვალს გაიმართა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **ა. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, ზ. ა. პატარაძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ე. კ. შარტავა, ხ. ე. ხაბეიშვილი.**

საზეიმო კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა **ნ. ვ. გურგენიძემ.**

შესრულდა სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

შეკრებილმა ამხანაგებმა კრების საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

სიტყვა ეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს **ზ. ა. ჩხეიძეს.** მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმება რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი, ყველა სახალხო კონტროლიორისადმი.

მოხსენება „სახალხო კონტროლის ორგანოების 60 წელი“ გააკეთა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ **ო. ვ. მელქაძემ.**

— საბჭოთა ადამიანებს შორის, — თქვა ამხ. მელქაძემ, — პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ახალი ამაღლება გამოიწვია პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებ ბმ ა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ ამ პლენუმზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პრო

საქართველოს
სსრ სახალხო
კონტროლის
კომიტეტში

მეთოდიკური კაბინეტი — დიდი რგოლი

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოთა მეთოდიკური კაბინეტებისა და კუთხეების დათვალიერების შედეგების შესახებ იმსჯელა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა და სათანადო დადგენილება მიიღო.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოთა მეთოდიკური კაბინეტებისა და კუთხეების დათვალიერებაში სახალხო კონტროლის თითქმის ყველა საქალაქო, რაიონული და საწარმოო კომიტეტი მონაწილეობდა.

დათვალიერების პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მეთოდიკური კაბინეტებისა და კუთხეების ქსელი. კაბინეტების რიცხვი 22, ხოლო კუთხეებისა — 1854 ერთეულით გაზრდა. ამასთან გარდაბანისა და ზუგდიდის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტების, ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის, თბილისის ფეხსაცმელების საწარმოო გაერთიანება „ისნისა“ და თბილცხმკომბინატის მეთაური ჯგუფების მეთოდიკური კუთხეები კაბინეტებად გარდაიქმნა, ხოლო ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, გეგეჭკორის, ვოდდაუთის, ლაგოდეხის, მესტიის, თეთრიწყაროს, ხაშურის, წალენჯიხისა და წითელწყაროს რაიონულ კომიტეტებსა და თბილისის დამტრეფოვის სახელობის ქარხნის სახალხო კონტროლის კომიტეტში მეთოდიკური კუთხეები ახლად შეიქმნა.

დათვალიერებამ ცხადყო, რომ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, ტყიბულის, გორის, წყალტუბოს, ჭიათურის, გაგრის სახალხო კონტროლის საქალაქო, ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის, ახალციხის, ბოლნისის, ვანის, გურჯაანის, ზესტაფონის, კასპის, მახარაძის, საჩხერის, ცხინვალის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტების სახალხო კონტროლის ორგანოთა ძირეული რგოლების, აგრეთვე აღნიშნული ქალაქებისა და რაიონების კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა კაბინეტებისა და კუთხეების მუშაობა ძირითადად აკმაყოფილებს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ამასთან ერთად დათვალიერებამ წერილობითი ნაკლოვანებებიც გამოავლინა. გულრიფშის, ყაზბეგის, მაიაკოვსკის, მცხეთისა და წულუკიძის რაიონებში დათვალიერება სერიოზულ არ ჩატარებულა. ამ რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტებმა არც კი წარმოადგინეს ინობები არსებული მეთოდიკური კაბინეტებისა და კუთხეების შესახებ. ნაკლოვანებები ჰქონდა ქალაქ სოხუმის, აგრეთვე ჩხოროწყუს, ცხაკაიას, ქარელის, მარნეულის, აბაშის, ბოგდანოვკის, თიანეთის, ცაგერის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტების მიერ ჩატარებულ შემოწმებებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ცაგერისა და თიანეთის რაიონებში დათვალიერებამ ხელი ვერ შეუწყო მეთოდიკური კაბინეტებისა და კუთხეების რაოდენობრივ ზრდას.

კომიტეტმა ამ საკითხზე ვრცელი დადგენილება მიიღო და სათანადო ღონისძიება დასახა.

●

კონტროლიორები მსჯელობენ

მეათე ხუთწლედში წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების საკითხებს მიეძღვნა რესპუბლიკის კონტროლის ორგანოების მუშაკთა თათბირი, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში გაიმართა. თათბირი გახსნა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. მარგალიტაძემ.

პარტიის XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ კვების მრეწველობაში საწარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების საქმეში სახალხო კონტროლიორთა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა რ. კონცელიძემ.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში არსებული სოციალისტური კანონიერების დარღვევების შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ შინაგანი საქმეთა სამინისტროს სოცსაკუთრების დაცვაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსმა შ. ჯორჯოძემ.

შეხვედრაზე გამოვიდნენ სამტრედიის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ფოცხვერაშვილი, გაერთიანება „თბილისთამბაქოს“, გურჯაანის ღვინის ქარხნების საწარმოო გაერთიანების, გორის საკონსერვო გაერთიანების, ოზაჩიერის ზეთსახდელი ქარხნის, მახარაძის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების ნატანების ფაბრიკის, აჭარის იტრუსკომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეები დ. ლუდრენკო, ჯ. ბუგულაშვილი, ლ. ბაკურაძე, ა. ჯიქია, ზ. ტაკიძე და ლ. ჭავჭარაძე.

შეხვედრის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. მარგალიტაძემ.

მაღალ კონტროლით!

133

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსაძღვის გამო

ეროვნულ ეკონომიკა, ბიბლიოთეკა — ბოლო გვაკვირვებს

რედაქციას უპასუხეგენ პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტი და საქალაქო საბჭოს აღმასკომი

ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდზე — „მასების კონტროლით“ — დაბეჭდილი წერილი „ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს“ ტყიბულში ვაჭრობის წესების დარღვევებს ეხებოდა. ამის გამო პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ორჯონიკიძე და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ცნობილაძე გვატყობინებენ:

წერილში აღნიშნული ფაქტები ძირითადად დადასტურდა. სოფელ დაბაძულის მაღაზიის გამგე-გამყიდველი ა. გელაძე განთავისუფლებულია სამუშაოდან.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ცნობად მიიღო, რომ რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს ა. ჭარაბიძეს დარღვევისათვის, რაც ვაჭრობის მუშაკის სამუშაოდან გადაყენებაზე საკუთარი დადგენილების შეუსრულებლობაში გამოიხატა, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის მიერ გამოცხადებული აქვს საყვედური.

ამასთან საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საყვედური გამოუცხადა საწირის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ო. ზარნაძეს — სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო ობიექტების შუამობისადმი სუსტი კონტროლისა და სავაჭრო ქსელის კადრების შერჩევის საქმეში უპასუხისმგებლობისათვის.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა რაიკოოპერატივის გამგეობას და სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომებს დაავალა მტკიცე სახელმწიფო წესრიგი დაამყარონ მომსახურების სფეროს კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეში.

□

რა ფასი აქვს ასეთ პირობას?

რედაქციას უპასუხეგს პარტიის წითელწყაროს რაიკომი

სპეციალურ გვერდზე „მასების კონტროლით“ დაბეჭდილი წერილის — „რა ფასი აქვს ასეთ პირობას?“ — გამო პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი თ. ბოგსაძე გვწერს:

გაცნობეთ, რომ ჯერ სახალხო კონტროლის წითელწყაროს რაიონულმა კომიტეტმა, შემდეგ კი საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის ბიურომ განიხილეს რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელში გამოვლენილ დარღვევა-დამანაშაულთა საკითხები და მიიღეს საკმარო ზომები.

საზოგადოებრივი კვების საკონსულტაციო ჯინაშვილს და რესტორნის დირექტორს შ. ბენაშვილს გამოეცხადათ საყვედური. სასაღილო „ნიავის“ მზარეულს კ. ბიკაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. ქვემო ქედის სასადილოს მებუფეტე გ. ლაპიაშვილი განთავისუფლებულია სამუშაოდან. ამასთან ქვემო ქედის საურსათო მაღაზიის გამყიდველ ჭ. ცაბაურაშვილს გამოეცხადა საყვედური, ხოლო, არხილოსკაკოოს მაღაზიის გამყიდველი ხ. ბუთხუზი განთავისუფლებულია სამუშაოდან.

რაიკოოპერატივის თავმჯდომარეს მ. ალადაშვილს, ნის მოადგილეს ჯ. ბაღაშვილს და არბოშიკის საცალო გაერთიანების დირექტორს ზ. ფოცხვერაშვილს დაედო პარტიული სასჯელი, ხოლო საზოგადოებრივი კვების გაერთიანების დირექტორი ბ. დათუკიშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.



ოგილიის ელექტრომექანიკურ ქარხანაში ნაყოფიერად ეუშაობენ საალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების წევრები, რომელთა ზრუნვის შედეგად იქმნება მეტი სახალხო დოვლათი, რაციონალურად იყენებენ ნედლეულს, მასალებს, სათბობს, ელექტროენერგიას.

საზოგადოებრივი კონტროლის მოქმედების შედეგად მარტო შარმან დაიზოგა 22 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 3 ტონა პირობითი საწვავი, 12 ტონაზე მეტი ლითონი და მრავალი სხვა მასალა.

სურათზე: (მარცხნიდან): სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი, ზეინკალი ვ. მუსიეულაშვილი, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსი გ. ვეფცკვიჩი, სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები, ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ქიტუაშვილი, ელექტროზეინკალთა ბრიგადირი ნ. ოხრიმენკო ამოწმებენ სამონტაჟო კიბის ხარისხს.

ვ. ᲔᲠᲛᲐᲜᲝᲕᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კონტროლიორები ამოწმებენ

ᲡᲐᲑᲐᲠᲘᲥᲘᲡ სალტეების შემკეთებელი ქარხნის მწრომელები იანვრის პირველი დღეებიდანვე დამკვრელურად შრომობენ. მათ ანკარიშზე უკვე ბევრი ზეკეგმითი პროდუქციაა. მუშაობა გარდაქმნეს სახალხო კონტროლიორებმაც. ისინი ენერგიულად შრომობენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, უფრთხილდებიან სახალხო დოვლათს, იბრძვიან ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის, რაციონალური გამოყენებისათვის, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერებისათვის.

სურათზე: (მარცხნიდან) — სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ხარატი ანზორ მარიდაშვილი, სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები უფროსი ტექნიკოსი შეკვეთების მიღების დარგში ნელი დევდარიანი და ცვლის უფროსი რობერტ კავთუაშვილი ამოწმებენ შეკეთებული სალტეების ხარისხს.

ე. ᲔᲑᲘᲜᲝᲕᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲩᲘᲕᲠᲘᲡ ᲙᲕᲙᲚᲓᲐᲙᲕᲚ

დოვლათი გაანიავეს

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ სახალხო კონტროლის კომიტეტში ხელმოწერელი წერილი შემოვიდა. ავტორი გვაყობინებდა, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჭარნალში ციტრუსის მოსავლის ანიავებენო. უმალვე შესამოწმებლად გავეშურეთ.

გამოირკვა, რომ კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. ზოიძე, მთავარი ბუღალტერი რ. კახიძე) კონტროლი არ იყო დაწესებული ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფისა და შემოსავალში აღების აღრიცხვისადმი. ციტრუსები პლანტაციებიდან სათავსებში აუწონავად და უზედნადებოდ იგზავნებოდა. ისარგებლეს რა კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა წაყრუებით, მეციტრუსეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ზ. დუმბაძე და მწონავი შ. გვიანიძე ქვითრებს (დღიურებს) აფორმებდნენ ციტრუსის შესაფუთ ქარხანაში გაგზავნისა და იქიდან ჩაბარების საბუთების მიღების შემდეგ. კრეფის სეზონში კოლმეურნეობის თავმჯდომარის არყოფნის დროს მის მოვალეობას სხვადასხვა დროს ასრულებდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ნ. გოჩიტაძე და მთავარი აგრონომი ო. ძნელაძე. სულ სეზონში პროდუქციის შემოსავლის დღიურებში ფაქტიურთან შედარებით ნაჩვენებია 13,5 ტონით ნაკლები ციტრუსი. ხდებოდა ნაყოფის განიავებისა და უყაირათობის ფაქტები.

ციტრუსის მოსავლის აღების საქმეში დაშვებული ხარვეზები გამოწვეული იყო იმით, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ მოსავლის ორგანიზებულად აღების საქმეს, ხოლო მეციტრუსეთა ბრიგადის მწონავად დანიშნეს ისეთი პიროვნება, რომელიც ნდობას არ იმსახურებდა.

ჭარნალის კოლმეურნეობაში არსებული მდგომარეობა ვახლა აჭარის სახალხო კონტროლის კომიტეტის მსჯელობის საგანი. კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს დაედოთ მკაცრი სასჯელები. დამნაშავენი მიეცემულნი არიან პასუხისგებაში.

ა. ᲚᲔᲙᲐᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის სოფლის მეურნეობის შტატგარეშე განყოფილების ინსპექტორი.

1. დასამოვიდეგლად როდი გვცალია

სოფლის აქტივის მხარდამხარ

ᲩᲕᲔᲜᲘ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მოქმედებს სახალხო კონტროლის 5 საგუშაგო. მუშაობის მეტი ეფექტიანობისათვის ჯგუფში შექმნილია ოთხი სექტორი, „უშვებთ კედლის გაზეთს „სახალხო კონტროლის თვალით“. სოფლის სახალხო კონტროლიორების ხელშეწყობითა და აქტიური, ოპერატიული მოქმედებით მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული.

ჩვენს შემოქმედებითს საქმიანობაში ყველაზე მეტად ვიყენებთ კონტროლისა და შემოწმების ისეთ ნაკად ფორმებს, როგორიც არის მასობრივი რეიდები და დათვალიერებები. აი ზოგიერთი მაგალითი. კონტროლიორებმა შეამჩნიეს, რომ ხრესილის კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ნორმალურ მსვლელობას ბევრი რამ ეშურხებდა. შეკრიბეთ ყველა კონტროლიორი და მოვაწყვეთ მასობრივი რეიდი. გამოირკვა, რომ ზოგან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა არ იყო მთლიანად შემზადებული, ზოგიერთ საწარმოო ბრიგადაში კი არ ჩაყოფილიყო მუშახელი. არც სოფლის საკაჭრო ჩსოლში იყო ულკეთ საქმე,— მაღაზიის სამეურნეო სექციის თარეზებზე ვერაფერს ნახავდით. კოლმეურნეებს არ შეეძლოთ ადგილზე შეიძინონ ისეთი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, როგორიც არის ბარი, თოხი, ცელი, ხასხლარი მაკრატელი. ცელი და სხვ. შექმნილი მდგომარეობა ვიანობეთ ხრესილის სასოფლო საბჭოს აღმასკომს. რომელმაც ოპერატიული ღონისძიებანი განახორციელა.

ხრესილელ კონტროლიორთა ყურადღების ცენტრშია ბუნების ოაცვის საკრიბორორო საკითხები, სოფლის ფლორისა და ფაუნის ვითმკობესების პრობლემები. შევამჩნიეთ თუ არა ტყის უკანონო ჩეხვისა და ნაოირობის ადგილების დროულად შემოხვევები. მაშინვე განაში ავიტეხეთ. აქტიურობის დახმარებით მოვაწყვეთ საკოლმეურნეო ტყეების ვოლიანსმით დათვალიერება, გამოვავლინეთ ბრაკონიერები, ტყის ჭრის ვადებისა და ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. ბრაკონიერებმა, სარგებლობდნენ რა სატყეო მეურნეობის მუშაკების უმოქმედობით, ბევრგან ხელოვნურად გამენებული ქარსაცავი ზოლებიც კი გაანადგურეს. საკითხი იმდენად დიდი მნიშვნელობის იყო, რომ საჭიროდ ვცანით მისი გატანა სასოფლო საბჭოს სესიაზე. აღნიშნული სესია სასოფლო საბჭოს დეპუტატების დახმარებით საგანგებოდ მოვამზადეთ. მის მუშაობაში მონაწილეობა მივაღებინეთ სოფლის მთელ აქტივს. სესიაზე მოვიწვიეთ სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები. მოხსენება თემაზე — „ბუნების დაცვა თითოეული საბჭოთა მოქალაქის ვალია“ — თვითონ მე გავაკეთე. სიტყვა ათამდე ორატორმა ითხოვა. თითოეული მათგანის გამოსვლა გამსჭვალული იყო ჩვენი ბუნების სიყვარულით. ისინი მთელი პირდაპირობით, მოურიდებლად ამხეულდნენ და სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ ყველა სულმოკლე ადამიანს, რომლებიც ცდილობდნენ ეცხოვრათ მხოლოდ დღევანდელი დღით და არ ზრუნავდნენ ჩვენი შვილების და თაობების ბედზე. ბუნების დაცვა-აღდგენაზე. სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება, დასახა კონკრეტული გზები მდგომარეობის გამოსასწორებლად. გავიდა გარკვეული დრო. შესრულების შემოწმებამ დაადასტურა, რომ მდგომარეობა უმჯობესდება.

2. დისციპლინა, წესრიგი...

ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მოქმედებს სახალხო კონტროლის 5 საგუშაგო. მუშაობის მეტი ეფექტიანობისათვის ჯგუფში შექმნილია ოთხი სექტორი, „უშვებთ კედლის გაზეთს „სახალხო კონტროლის თვალით“. სოფლის სახალხო კონტროლიორების ხელშეწყობითა და აქტიური, ოპერატიული მოქმედებით მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული.

ჩვენს შემოქმედებითს საქმიანობაში ყველაზე მეტად ვიყენებთ კონტროლისა და შემოწმების ისეთ ნაკად ფორმებს, როგორიც ერთი მაგალითი. კონტროლიორებმა შეამჩნიეს, რომ ხრესილის კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ნორმალურ მსვლელობას ბევრი რამ ეშურხებდა. შეკრიბეთ ყველა კონტროლიორი და მოვაწყვეთ მასობრივი რეიდი. გამოირკვა, რომ ზოგან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა არ იყო მთლიანად შემზადებული, ზოგიერთ საწარმოო ბრიგადაში კი არ ჩაყოფილიყო მუშახელი. არც სოფლის საკაჭრო ჩსოლში იყო ულკეთ საქმე,— მაღაზიის სამეურნეო სექციის თარეზებზე ვერაფერს ნახავდით. კოლმეურნეებს არ შეეძლოთ ადგილზე შეიძინონ ისეთი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, როგორიც არის ბარი, თოხი, ცელი, ხასხლარი მაკრატელი. ცელი და სხვ. შექმნილი მდგომარეობა ვიანობეთ ხრესილის სასოფლო საბჭოს აღმასკომს. რომელმაც ოპერატიული ღონისძიებანი განახორციელა.

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ᲩᲣᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ რაიონის სოფელ ქვიტირის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლიორებმა ამ ბოლო ხანს განსაკუთრებით გააკეთეს მუშაობა.

ამის შედეგად საბჭოთა მეურნეობა მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს ისეთ რთულ დარგებში, როგორიცაა მებოსტნეობა და მეცხოველეობა.

ამ წარმატებებში დიდია სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებში გაერთიანებულ რიგითი კონტროლიორების შრომითი წვლილი. ისინი განაწილებული არიან საწარმოო ბრიგადებში, მეცხოველეობის ფერმებში. სამანქანო-სატრაქტორო პარკში. ე. ი. იქ, სადაც უშუალოდ წყდება კოლექტივის ვალდებულებათა განხორციელების ბედი. სახალხო კონტროლის ჯგუფი, რომელიც წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით მუშაობს. სწავლობს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ბოსტნეული კულტურების თესვა, რგვა, დამუშავება. მოსავლის აღება და დაბინავება, საწვავ-საპოხი მასალების ხარჯვა, პირუტყვის მოვლა-პატრონობა, საკვების დამზადება და ყაირათიანი ხარჯვა, ტექნიკის გამოყენება, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება და სხვა. მაგალითად, სახალხო კონტროლიორების ყურადღების ცენტრშია საადრეო ბოსტნეულის წარმოებისათვის სასობრო მეურნეობის მომზადება. ერთერთი შემოწმების დროს გამოირკვა, რომ № 1, № 5 და № 7 ბრიგადებში კვალსათბურების რემონტი ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ეს საკითხი განხილულ მუშა-მოსამსახურეთა საწარმოო თათბირზე და მდგომარეობა მალე გამოსწორდა.

ჯგუფმა თავიდანვე დიდი ყურადღება დაუთმო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ტექნიკის მზადყოფნას. აქაც შემოწმების დროს გამოირკვა, რომ ზოგიერთი ტრაქტორი და მისაბმელი არ იყო გარემონტებული. ამასთან ჭიანურდებოდა ძმიმე ფარცხის კულტივატორის საკვალიანის რემონტი. სახალხო კონტროლიორებმა საქმის კურსში ჩააყენეს აღმინისტრაცია და პარტიული ორგანიზაცია. მიღებული ზომების შედეგად ნაკლი აღმოიფხვრა. მეორე და მეექვსე ბრიგადების ზოგიერთი მუშა პამიდორს ბუდნებში უხარისხოდ თესავდა. ეს საკითხი ჯგუფის გადწყვეტილებით მეურნეობის დირექციის მსჯელობის საგანი გახდა. წუნის მკეთებლებს ნ. ჩიტეიშვილს, ნ. ბუმბეიშვილს, პ. ჭეიშვილს, პ. კუხიანიძეს, ლ. ბეგეშიძეს და სხვებს მკაცრად მეეთითა, ამასთან შრომის აუნაზღაურებლად განმეორებით დაამუშავებინეს ნაკვეთები. შესაბამისი ღონისძიებანი განხორციელდა უბნის უფროსებისა და მთავარი აგრონომის მიმართაც.

სახალხო კონტროლიორები პერიოდულად ატარებენ რეიდებსა და შემოწმებებს მეურნეობაში მიწათსარგებლობის კანონის განხორციელების უზრუნველსაყოფად. შემოწმებამ ცხადყო, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ იყო, კერძოდ, გამოვლინდა გაუქმებული კომლები, რომელთა ახლობლები საკარმიდამო ნაკვეთს უნებართვოდ ამუშავებდნენ. ეს საკითხი განხილეს ჯგუფის კრებაზე, შემდეგ კი მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე. შეტყობინება გაეგზავნა მილიციის უბნის ინსპექტორს. ხარვეზები ნაწილობრივ გამოსწორდა. 83 კომლის გაუქმებული საკარმიდამო მიწები ჩაბარდა საწარმოო ბრიგადებს და დამყარებულია კონტროლი მათზე მოწეული მოსავლის მეურნეობის ბეღელში ჩასაბარებლად.

მეხილეობა მეურნეობის დამხმარე დარგია. კონტროლიორები დიდ ყურადღებას უთმობენ ხეხილის ბაღების მოვლას, აგროტექნიკურ ვადებში დამუშავებას, ხილის მოსავლის უდანაკარგოდ აშმორებული სუნის ბუდედ, შავი წყლის მასად იქცა. არა თუ თევზი, ბაყაყიც კი გაწყდა, სმაგიროდ მის სანაპიროზე მომრავლდნენ კოღოები. ყოველივე ამის მიზეზია ხრესილის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანა, რომელიც რაც დრო გადის მით უფრო ადიდებს პროდუქციის გამოშვებას და სულ მეტი და მეტი რაოდენობის ნარჩენებს პირდაპირ მდინარეში უშვებს.

ბუნების გაბინძურების ასეთი შეუწყნარებელი მოქმედების აღსაკვეთად რა არ იღონეს კონტროლიორებმა, ვის არ მიმართეს და მისწერეს, მაგრამ ამაოდ.

ამ ცოტა ხნის წინათ გადავწყვიტეთ შეგვესწავლა სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვის მდგომარეობა. შევადგინეთ ორგანიზაციული მუშაობის გეგმა. საიტეიშვილს, ნ. ბუმბეიშვილს, პ. ჭეიშვილს, პ. კუხიანიძეს, ლ. ბეგეშიძეს და სხვებს მკაცრად მეეთითა, ამასთან შრომის აუნაზღაურებლად განმეორებით დაამუშავებინეს ნაკვეთები. შესაბამისი ღონისძიებანი განხორციელდა უბნის უფროსებისა და მთავარი აგრონომის მიმართაც.

სახალხო კონტროლიორები პერიოდულად ატარებენ რეიდებსა და შემოწმებებს მეურნეობაში მიწათსარგებლობის კანონის განხორციელების უზრუნველსაყოფად. შემოწმებამ ცხადყო, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ იყო, კერძოდ, გამოვლინდა გაუქმებული კომლები, რომელთა ახლობლები საკარმიდამო ნაკვეთს უნებართვოდ ამუშავებდნენ. ეს საკითხი განხილეს ჯგუფის კრებაზე, შემდეგ კი მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე. შეტყობინება გაეგზავნა მილიციის უბნის ინსპექტორს. ხარვეზები ნაწილობრივ გამოსწორდა. 83 კომლის გაუქმებული საკარმიდამო მიწები ჩაბარდა საწარმოო ბრიგადებს და დამყარებულია კონტროლი მათზე მოწეული მოსავლის მეურნეობის ბეღელში ჩასაბარებლად.

მეხილეობა მეურნეობის დამხმარე დარგია. კონტროლიორები დიდ ყურადღებას უთმობენ ხეხილის ბაღების მოვლას, აგროტექნიკურ ვადებში დამუშავებას, ხილის მოსავლის უდანაკარგოდ



ᲝᲠᲘ ᲥᲐᲤᲩᲘᲗ

ნახატი გ. ლომიძისა.

ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე ინდივიდუალური სახლეებისა და ბაღრაკების მშენებლობას მოხმარდა მეტი, ვიდრე რეალიზებულია სავაჭრო ქსელის საშუალებით: ცემენტი — 266 ათასი ტონით, სამასალე მერქანი — 190 ათასი კუბური მეტრით, აგური — 745 მილიონი ცალით მეტი.

საქმე ეხება იმას, რომ იმ რაოდენობის საშენი მასალებით, რაც გაიყიდა საცალო ვაჭრობის საშუალებით, არ შეიძლება ამდენი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის აშენება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხდება სახელმწიფო დოვლათის დაკარგვა!

ᲡᲐᲥ. ᲙᲐ ᲪᲙ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲚᲘᲜᲣᲨᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲐᲛᲐᲝᲓ ᲒᲐᲘᲡᲐᲠᲯᲜᲔᲜ?

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲛᲣᲚᲝᲒᲘᲡ ᲙᲒᲐᲜᲔᲛᲨᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲥᲐᲝᲡᲘᲐ

ᲕᲘᲜ იცის, ქვეყნად რამდენი დაწესებულება არსებობს. ცხადია, თითოეულ მათგანს გარკვეული მიზანი აქვს და დიდმნიშვნელოვანი ამოცანები აკისრია. რა თქმა უნდა, ასეთივეა ქალაქ რუსთავის კავშირგაბმულობის კვანძიც, რომელიც ბევრი სხვა დაწესებულებისაგან, სამწუხაროდ, მუშაობის მანკიერი მეთოდებით გამოირჩევა.

კვანძის უფროსს ნიკოლოზ ლეკვას და მთავარ ინჟინერს ნიკოლოზ პიხოს წლების მანძილზე თავიანთ საქმიანობაში არავითარი კორექტივი არ შეუტანიათ, იტყობა, ამაზე არც კი უფიქრიათ. ამიტომ გასაკვირიც არაა, თუ დღეს რუსთავში ტელეფონის დადგმა ათას უსიამოვნებასთან არის დაკავშირებული. აქ ყველაფერი ძველებურად წყლის წვეთებივით ჰგავს ერთმანეთს. საქმე ის კი არ არის, რომ კვანძის უფროსსა და მთავარ ინჟინერს ერთნაირი სახელები აქვთ, არამედ ის, რომ მათი მოღვაწეობის ფორმებიც ერთნაირია.

შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ კვანძში საწარკალამი, განცხადებების სარეგისტრაციო ჟურნალი, წიგნიერი ადამიანი ვერ იპოვეს და ამის გამო ნორმალური აღრიცხვა ვერ შეძლეს. ყოველივე ეს ჭირვეულობით კი არ მოსდიოდათ, არამედ მათ მუშაობის თავისებური მეთოდი და მიზანი ჰქონდათ, განცხადებების სარეგისტრაციო ჟურნალის ნაცვლად, საკუთარი დავთარი შემოიღეს. როგორც უნდოდათ ისე აგსებდნენ, შლიდნენ, ასწორებდნენ.

განცხადებებზე რეზოლუციას ადებდნენ, მოქალაქეებს ტკბილი სიტყვით ისტუმრებდნენ, მაგრამ თავიდათავი ის იყო, რომ თარიღს არ უსვამდნენ. შემდეგ კი უთარიღობას იმიზეზებდნენ და ტელეფონის დაუდგომლობას ამას აბრალებდნენ. პრაქტიკული გამოცდილებიდან მათ ბევრი რამ იცოდნენ, ერკვეოდნენ, ვისთვის დაედგათ ტელეფონი და არჩევანშიც არ ცდებოდნენ.

